მარიკა ჭითანავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმინდა მარკოზ მახარებლის ლიტურგია

წმინდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის მიერ დაარსებული საღმრთო ლიტურგია აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული მსახურებაა.

მართლმადიდებელ ეკლესიაში ძირითადად სამი სახის ლიტურგია აღევლინება, რომლებიც სრულდება ყველა სამრევლო ტაძარში: წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ დიოლოღოსის პირველშეწირულის ლიტურგია. თუმცა საეკლესიო პრაქტიკა იცნობს დამატებით სხვა მსახურებებს, რომელთა დაარსება უშუალოდ ქრისტეს მოციქულებს მიეწერებათ და განპირობებულია კონკრეტული გეოგრაფიული არეალითა და თარიღით. საზოგადო ღმრთისმსახურების ერთ-ერთ ადგილობრივ ტრადიციულ სახედ მიიჩნევა წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია, რომელიც, სახელწოდებიდან გამომდინარე, უშუალოდ პეტრე მოციქულის მოწაფის მიერაა შექმნილი და დღემდე აღესრულება როგორც ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოში, ასევე საბერძნეთისა და ამერიკის რუსული დიასპორის ეკლესიებში წმინდა მახარებლის ხსენების დღეს, 25/8 აპრილს ზატიკის პერიოდში.

მარკოზის ლიტურგიის შესახებ უძველეს წერილობით დადასტურებას ვპოვებთ მეოთხე საუკუნის პაპირუსზე, რომელიც 1928 წელს აღმოაჩინეს, თუმცა უნდა ჩამოვთვალოთ ქრისტიანული ეკლესიის ის ბურჯები, რომლებიც ხსენებული მსახურების აღსრულებას ადასტურებენ თავიანთ შრომებში: წმ. ათანასე დიდი, კირილე ალექსანდრიელი, იოანე მოწყალე და სხვები. ასევე ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ 1585 წელს მელეტი ალექსანდრიელმა და 1890-ში ნექტარიოს პენტაპოლელმა გადაწერეს დასახელებული წირვის ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი. ეს უკანასკნელი გამოიცა მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ჯერ საბერძნეთში (1955 წ.), ხოლო შემდეგ – ეგვიპტეში (1960 წ.).

საგულისხმოა, რომ ალექსანდრიაში ღმრთისმსახურება აღესრულებოდა ბერძნულ ენაზე. ეს იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ბერძნულ ენას ჯერ კიდევ ფართო გამოყენება ჰქონდა ეგვიპტეში, რომლის საშუალებითაც მოახერხა ქრისტიანულმა კულტურამ აღმოსავლეთის ამ უძველეს სახელწიფოში შეღწევა, რომელსაც თან დახვდა ადგილობრივი ელინისტური ტრადიცია. ორივეს შერწყმამ კი განაპირობა ლოკა-

ლური ღმრთისმსახურების ფორმაცია, რაც თვალნათლივ გამოვლინდა წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის მიერ დაარსებულ სრულ ლიტურგიაში, რომელმაც ადგილობრივ ბერძნულენოვან მოსახლეობას მშობლიურ ენაზე შეუდგინა ღმრთისმსახურების წესი.

თავად მსახურების სტრუქტურა ბევრ ისეთ თვალსაჩინო ელემენტს შეიცავს, რომელიც დიდ საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ლოცულობდნენ პირველი ქრისტიანები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ ადგილობრივ ტრადიციულ ლიტურგიას, სხვებისგან განსხვავებით, დიდი ცვლილებები არ განუცდია, არამედ თავისი პირვანდელი ფორმა და მნიშვნელობა შემოინახა.

საინტერესოა წმინდა მახარებლის წირვის პოპულარიზაცია ეგვიპტის საზღვრებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ლიტურგია ადრექრისტიანულ ეპოქაშივე რამდენიმე ენაზე ითარგმნა: სირიულად, კოპტურად, ლათინურად, ფიქსირდება გასული საუკუნის მისი უკრაინული და ინგლისური თარგმანებიც, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე არცერთი ხელნაწერი არ მოიპოვება, შესაძლოა არც არასოდეს შესრულებულა მისი ქართული თარგმანი... ეს კი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ლოკალური ტრადიციებიდან გამომდინარე, არსებობს რიგითი განსხვავებული ჩანართები ლიტანიისა თუ მრჩობლი კვერექსების სახით, მაგალითად, ევქარისტიული კანონის დროს სულიწმიდის გარდამოსვლის საკითხავები, რომლის განმავლობაში იერარქი ლოცულობს მდინარე ნილოსის ადიდებისა და მიწის ნაყოფიერებისთვის, რაც ქართული სივრცისთვის უცხო და მნიშვნელობამოკლებულია.

მარკოზ მახარებლის წირვა ითვლება ალექსანდრიული ლიტურგიის კლასიკურ ნიმუშად. იგი თავისი „ლაკონიურობით, სიწმინდითა და გამომსახველობით გვახსენებს ევანგელისტის სტილს, რამაც მისი პოპულარობა განაპირობა არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მის ფარგლებს გარეთ“ (Алымов, В., http://www.holytrinitymission.org/index.php; Керн, К.,2006). აღნიშნული მსახურების ტექსტი თარგმნილია მრავალ ენაზე, თუმცა მისი ყველაზე გვიანდელი ბერძნულენოვანი ხელნაწერი გადაწერილ იქნა წმ. ნექტარიოს პენტაპოლელის მიერ 1890 წელს, რომელიც გასული საუკუნის შუა პერიოდში გამოქვეყნდა საბერძნეთში და მიიჩნევა ყველაზე სრულყოფილ ვერსიად (1). სწორედ ამ უკანასკნელს ეფუძნება წმ. მარკოზ მახარებლის სადღესასწაულო განგება, რომელიც თანამედროვე მართლმადიდებელი სამყაროს გარკვეულ ლოკაციებში აღინიშნება თავად წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის ხსენების დღეს – 25/8 აპრილს (2), რაც, თავის მხრივ, პასქალურ პერიოდს ემთხვევა (Shaw, J., 1998).

წმ. მარკოზის ლიტურგია „უჩვეულო“ დასაწყისით ხასიათდება, კერძოდ, იერარქის მიერ სამგზის ერის კურთხევით და დიაკონის მიერ მეფისა და „პაპისთვის“ ლოცვისადმი (ანუ პატრიარქისთვის, როგორც მას ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოში მიმართავენ) მოწოდებით. ეს პრაქტიკა ტრანსფორმირდა ბიზანტიური ლიტურგიკული წესის დარად, რომლის მიხედვითაც, მოცემული სამი ლოცვა გახდა სამი ანტი-

ფონი, რომელსაც ჩაერთვის ერთი მშვიდობიანი და ორი მცირე კვერექსი წირვის საწყის ნაწილში. ამავე დროს, თუკი საქმე ეხება 25/8 აპრილის სადღესასწაულო მსახურებას, ლიტურგია იწყება საადღგომო ტროპარის „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ სამგზის და პასექის ანტიფონების გალობით, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული თარიღი

(1) ვინაიდან ბევრი სახელმწიფო უძრავ დღესასწაულებს საეკლესიო კალენდრის ახალი სტილით ზეიმობს, ასეთ შემთხვევებში მარკოზ მახარებლის ხსენება მოექცევა დიდმარხვის მეხუთე კვირიდან დაახლოებით აღდგომის განზოგების პერიოდამდე შუალედში.
(2) კონკრეტული წმინდის დღესასწაულზე მისივე დაარსებული მსახურების აღვლენის ტრადიცია ცნობილია უფლის ხორციელი ძმის – წმ. იაკობის ხსენების დღეს იერუსალიმური წირვის აღსრულების მაგალითზე.
(3) ვინაიდან ბევრი სახელმწიფო უძრავ დღესასწაულებს საეკლესიო კალენდრის ახალი სტილით ზეიმობს, ასეთ შემთხვევებში მარკოზ მახარებლის ხსენება მოექცევა დიდმარხვის მეხუთე კვირიდან დაახლოებით აღდგომის განზოგების პერიოდამდე შუალედში.

ზატიკის პერიოდს ემთხვევა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (3).

დღეისათვის თითქმის ყველა მოქმედი ლიტურგიის მსგავსად (წმ. იაკობის, წმ. პეტრეს, წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირის), ალექსანდრიულ მსახურებაში დამატებულია პროსკომიდიის ანუ კვეთის ლოცვები, რომლებიც წმ. მარკოზის ლიტურგიაში ჩნდება სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში დაცული მე-12 საუკუნის ხელნაწერის კვალობაზე (Vat. Gr.281), წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის წირვების გავლენით. აღსანიშნავია, რომ უძველესი დროიდან წმინდა ძღვენის მომზადება დიდი გამოსვლის წინ ხდებოდა, როგორც წმ. მახარებლის, ასევე სხვათა ლიტურგიებში, მაგრამ რადგანაც მოსახსენებელთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, ამ პროცესმა, თავის მხრივ, პროსკომიდიის გახანგრძლივებაც გამოიწვია და შედეგად გადაინაცვლა ჯერ სამოციქულოს კითხვის, საბოლოოდ კი – წირვის დასაწყისში. დღესდღეობით ამის ერთგვარი ანარეკლია წმ. იოანე ოქროპირის სამდვდელმთავრო მსახურება, როცა სათანადოდ მომზადებული ორი სეფისკვერიდან ეპისკოპოსი იღებს ნაწილებს ცოცხალთა და მიცვალებულთათვის „რომელნი ქერუბიმთას“ გალობის პარალელურად. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად წმ. მარკოზის წირვა, ისევე როგორც სხვა ადრეული ლიტურგიები, იწყებოდა პირდაპირ მცირე გამოსვლით, ანუ სახარებით შესვლით. ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ეკლესიებში სადიაკვნე, ანუ ოთახი, სადაც კლი-

რიკოსები იმოსებოდნენ, იყო ტაძრის დასავლეთ ნაწილში, რაც განაპირობებდა შემოსვის შემდეგ პროცესიის უფლის საკურთხევლისკენ გადანაცვლებას.

ამ მსვლელობამ მოგვიანებით განსხვავებული იერსახე შეიძინა და დროშიც უფრო განივრცო, რადგან მოძრაობა ხდებოდა ზოგ შემთხვევაში როგორც ერთი ეკლესიიდან მეორეში, ისე ტაძრის გარეთ. ლიტანიობას მრევლიც უერთდებოდა, რა დროსაც იგალობებოდა „მხოლოდშობილო“. ამ უკანასკნელში კარგადაა ფორმულირებული განკაცებული ძე-ღმერთის მიწიერი ცხოვრების, მისი ჯვარცმის, კაცობრიობის გამომხსნელობისა და განდმრთობის არსი. ხსენებულ საგალობელს მოსდევს შესვლისა და საკმევლის ლოცვა, სახარებით შესვლა და „სამწმიდაო“, რომლის არსებობა ესაიას წინასწარმეტყველებაში დასტურდება (ეს.6:3).

აქვე დავძენთ, რომ, მკვლევართა აზრით, ლიტურგიის დასაწყისში აღვლენილი სამი ზემოხსენებული ლოცვა იკითხებოდა ხმადაბლა, ხოლო მცირე გამოსვლის საგალობელი „მხოლოდშობილო“ – ხმამაღლა. ადრეულ ხელნაწერებში დასტურდება ის ფაქტი, რომ ამ საგალობლისას აღესრულებოდა მცირე გამოსვლა, თუმცა შემდეგ მას დაემატა ნაწყვეტები ფსალმუნებიდან, რეფრენები და ტროპარები. ამდენად, იკვეთება ორგვარი ცვლილება:

ა. საკურთხეველში შესვლის პროცესი, რაც გულისხმობდა მღვდლისა და თანამსახურთა ნავიდან გამოსვლასა და კვლავ უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ იერარქი შემოსვის მომენტიდან საკურთხევლის წინ იდგა.

ბ. მიმოსვლითი პროცესის საკმაოდ შემოკლება და მისი მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით შემოფარგვლა.

მცირე გამოსვლის თავდაპირველი სახით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ეპისკოპოსის წირვაზე, რომლის დროსაც მღვდელმთავარი იმოსება შუა ტაძარში და არ შედის საკურთხეველში მანამ, სანამ არ აღესრულება სახარებით შესვლა.

„წმიდაო ღმერთოს“ გალობის თანმდევია ბიბლიის გამოკრებული ტექსტების კითხვა. კერძოდ, წიგნის მკითხველი ან დიაკონი ასახელებს და კითხულობს წარდგომას, სამოციქულოს და ალილუიას მუხლებს, რასაც შემდეგ ემატება სახარებაც.

საყურადღებოა, რომ წმინდა წერილიდან **ოთხი** საკითხავის გამორჩევა (პირველ საკითხავში ვგულისხმობთ საწინასწარმეტყველოს, რომელიც თანამედროვე მსახურებაში წარდგომის მუხლებით არის ჩანაცვლებული) ქრისტიანული ღმრთისმსახურების დაარსების პირვანდელი ფორმის გამოხმაურებაა, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი წმ. მარკოზის სადღესასწაულო მსახურებაში. ყურადღებას იქცევს ალილუიას მუხლების წაკითხვის წესიც, სადაც დასახელებულია ოთხი მუხლი 88-ე ფსალმუნიდან: 1. აღიარებენ ცანი საკჳრუჱლებათა შენთა უფალო, და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა; 2. რამეთუ ვინ ღრუბელთა შორის ესწოროს უფალსა და ემსგავსოს უფალსა ძეთა შორის ღმრთისათა; 3. ღმერთი დიდებულ არს ზრახვასა შინა წმიდათასა, დიდ

არს და საშინელ ყოველთა ზედა, რომელნი არიან გარემოჲს მისა; უფალო ღმერთო ძალთაო, ვინ გემსგავსოს შენ? 4. ძლიერ ხარ შენ, უფალო, და ჭეშმარიტებაჲ შენი გარემო არს შენსა (ფს. 88:6,7,8,9). მაშინ როდესაც წმ. იოანე ოქროპირის თანამედროვე სლავურ-ქართული ლიტურგიკული პრაქტიკით ჯერ ითქმის ზატიკის ალილუიას ორი და შემდგომ მოციქულის ორი – 88-ე ფსალმუნის მე-6 და მე-8 მუხლები (იგულისხმება დღესასწაულის წინა და შემდგომი პერიოდში ღამისთევის (V რანგის) მსახურების ტიპიკონი). ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ აპრილის თვენის საკითხავებში მარკოზ მახარებლის სადღესასწაულო განგება მოცემულია მესამე რანგში (დღესასწაულის შემდგომი პერიოდი + დიდებამაღალიანის მსახურება), რაც ასევე გულისხმობს წარდგომისა და ალილუიას მუხლების დასახელებას ზემოთ ხსენებული წესის მიხედვით, თუმცა 8/25 აპრილის განგების მოცემულობით, მითითებულია მხოლოდ წმიდის წარდგომა და ალილუია (სადღესასწაულო 2001: 243-248;).

პარალელურად მიმოვიხილოთ წმ. მარკოზის დღესასწაულის მსახურებაზე ბიბლიის ტექსტის კითხვის თავისებურება, რომელშიც ჩართულია 2 საწინასწარმეტყველო (გამ.3:1-14; ეს.19;1,19-25), პეტრეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე (5:6-14) და ალილუია შესაბამისი მუხლებით.

შესაძლებელია, რომ მიმდევრობით – საწინასწარმეტყველოს, სამოციქულოსა და სახარების (ანუ სამი საკითხავი და არა ოთხი) კითხვის მაგალითად დავასახელოთ სამეუფეო ჟამნების (ქრისტეშობის და ნათლისღების წინა დღისა და ვნების შვიდეულის პარასკევის) მსახურებები, რაც, სავარაუდოდ, სწორედ ამ ადრეული პრაქტიკის ერთგვარი ანარეკლია (სადღესასწაულო 2001: 49-59; 132-145; ტრიოდიონი 1901: 72-77). აგრეთვე დავიმოწმებთ იმ შემთხვევას, როდესაც დიდმარხვის შვიდეულის სადაგ დღეებში დაემთხვევა სადიდებლიანი მსახურება. ასეთ ვითარებაში პირველშეწირულის ლიტურგიის მწუხრზე წასაკითხავ 2 საწინასწარმეტყველოს ემატება დღესასწაულის სამი საწინასწარმეტყველო, წარდგომა, სამოციქულო, ალილუია და სახარება, იმ განსხვავებით, რომ საწინასწარმეტყველოების შემდგომ მღვდელი აკმევს ტრაპეზს და გალობს სათანადოდ წარდგომას „წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, აპყრობად ხელთა ჩემთა მსხვერპლ სამწუხროდ“ (თავისი მუხლებით) გუნდთან ერთად. ბოლოს იერარქი დაასახელებს წარდგომის ნახევარს, გუნდი დააბოლოებს, რასაც მოჰყვება ეფრემ ასურის ლოცვა სამი დიდი მეტანიით (კრებული 1996: 98-101).

სამოციქულოს წაკითხვის შემდგომ დიაკონი ამბობს: „გვაკურთხენ, მეუფეო“. მღვდელი სახარების კითხვამდე აღამაღლებს საცეცხლურს და აკურთხებს დიაკონს. ეს უკანასკნელი განაგრძობს: „აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება“. მღვდელი: მშვიდობა ყოველთა. გუნდი: და სულისაცა შენისა თანა და იკითხება სახარება (მკ. 6:7-14 წმ. მარკოზის ხსენების დღეს).

სახარების კითხვის შემდეგ აღესრულება მრჩობლი კვერექსი, რაზეც გუნდი პასუხობს „უფალო შეგვიწყალენ“. ეს გაძლიერებული ვედრება დასტურდება პროფ. ფუნდულის მიერ გამოცემულ ტექსტში და რასაც წმ. სერაპიონის „Ευχολογιών“ მიხედვით ეწოდება „ქადაგების შემდგომი ლოცვა“.

ლიტურგიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში იერარქის **ქადაგება**, ანუ ჰომილია, ერთვებოდა სახარების კითხვის შემდგომ, რაც შენარჩუნებულია წმ. იაკობ მოციქულის წირვაში (ჟამისწირვათა კრებული 2016:17-18). თანამედროვე პრაქტიკაში ეს პროცესი ჩამოლოცვის შემდგომ აღესრულება.

თუ კარგად დავაკვირდებით წმ. მარკოზის წირვის ხსენებული კვერექსის ტექსტსა და ლოცვის შინაარსს, მივხვდებით, რომ იგი აშკარად შემდგომდროინდელი დამატებაა მსახურებაში სხვა ლიტურგიების გავლენით, რაც მარკოზ მახარებლის წირვას საინტერესო ელფერს სძენს.

სტრუქტურულად წმ. მარკოზის წირვაში კათაკმეველთა კვერექსი აღევლინება, რასაც მოსდევს მათი დათხოვნა მართალთა ლიტურგიის მსახურებიდან, რაც ასევე წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის წირვებიდანაა ნასესხები.

კათაკმეველთა დათხოვნას (ბერძნული ტექსტის მიხედვით) მოსდევს 122-ე ფსალმუნისა და „ქერუბიმთას“ გალობა, რაც ორივე გამოცემაში დასტურდება. მათ შემდეგ აღესრულება მშვიდობის ამბორი და ნიკეის მრწამსი, რომლის წარმოთქმისას, წმ. იაკობის წირვის მსგავსად, მღვდელი ჯვარს დასახავს წმინდა ძღვენს. ამის შემდგომ აღევლინება წმინდა ძღვენის შეწირვის პროცესი – ევქარისტიული კანონი (წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიების დარად), რაც, თავის მხრივ, ფრიად განსხვავებულ პასაჟს შეიცავს და რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის მარკოზის, ისევე როგორც სხვა მოციქულების ლიტურგია, იდენტური იყო თავად განკაცებული ძე-ღმერთის მიერ აღსრულებული საიდუმლო სერობისა (მთ.2:26-28; მრკ. 14:22-24; ლკ.22:19-20; ინ.13:1-27, 1 კორ.11:23-25), რის დროსაც წარმოჩინდა ევქარისტიის სამი მთავარი აქტი – რიტუალური, მისტიური და განმარტებითი.

რიტუალურ აქტში მოიაზრება პურის განტეხა; საიდუმლოებრივ, **მისტიურ** აქტში პურისა და ღვინის მაცხოვრის წმინდა ხორცად და სისხლად გარდაარსების შემდეგ ქრისტე მოწაფეებს ავალებს სამარადჟამოდ (მეორედ მოსვლამდე) ამ ქმედების მის მოსახსენებლად აღსრულებას, ხოლო **განმარტებით** აქტში ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი წარმოაჩენს მისტიური მოქმედების ასპექტებს (ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების, საღმრთო აღმშენებლობის ჭრილში).

ქრისტიანული ეკლესია ხსენებულ სამ აქტს განახორციელებდა აღაპითა (სერობის შემდგომ სამადლობელის შეწირვით) და ევქარისტიით. ქრისტიანული თემის წარმოშობის საწყის ეტაპზე საიდუმლო მღვდელმოქმედება – ევქარისტია საიდუმლო სერობის თანმიმდევრობის მარტივ განმეორებას წარმოადგენდა ჯერ „ქორზე“, ანუ მაღალ ოთახში (მკ.14:15; ლკ. 22:12; საქ.1:13), ხოლო მორწმუნეთა რიცხვის მატების გამო ჯერ სახლებში, ე.წ. Domus-ეკლესიებში, შემდეგ კი – ბაზილიკებში (Valentini, G., 1969: 109-110; Mango, C., 1989:5).

ღმრთეებრივი სიტყვითა და ძალით იესო ქრისტემ პური და ღვინო თავის ხორცად და სისხლად აქცია. ეკლესიის წმინდა მამებმა კი წირვის სტრუქტურაში შემოიღეს უფლისადმი აღსავლენი სავედრებელი ლოცვები ხსენებული მისტიური აქტის აღსასრულებლად. მესამე (განმარტებით) ქმედებას თან სდევდა აღაპისა და ევქარისტიის აღმსრულებელი ეპისკოპოსის ან უპირატესი იერარქის მიერ რამდენიმე ლოცვის წარმოთქმა და მათი განმარტება. მოგვიანებით სხვადასხვა ეკლესიის მღდელმთავრები ავრცობდნენ წირვის სტრუქტურას, ძირითადად კვერექსებით, მათი საჭიროებისამებრ. ამ მხრივ წმ. მარკოზის მსახურება თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც რამდენადმე წმ. კირილე ალექსანდრიელის დამატებების შემცველია და მეორენაირად იგი კირილე ალექსანდრიელის წირვადაც იხსენიება, განსაკუთრებით კოპტურ სივრცეში (Guirguis, G., http://www.suscopts.org/mightyarrows/vol2_no4/divineliturgy.pdf .

ლიტურგიკის სპეციალისტების თანახმად, შეწირვის (Anaphora) პროცესი 5 ნაწილად იყოფა შესაბამისი აღნიშვნით:

1. Praefatio – შესავალი (P) ;
2. Sanctus – ევქარისტიული „მოგზაურობის“ აღსრულება, სასუფევლის მიღწევა და მასში დამკვიდრება (S);
3. Anamnesis – გახსენება იმისა, თუ როგორ აღსრულდა ყველაფერი (A);
4. Epiclesis – სულიწმიდის მოწვევა ძღვნის კურთხევისა და პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაქცევისათვის (E);
5. Jntercessia – გაძლიერებული ლოცვა ეკლესიისათვის, ცოცხალთა და მიცვალებულთათვის, ანუ დიპტიქი (J).

ამათგან ალექსანდრიული, კონკრეტულად წმ. მარკოზის წირვის შეწირვის პროცესი მიუყვება შემდეგ გეგმას: PJSAE, იერუსალიმური (PSAEJ), ანტიოქიური (PSAEJ), მესოპოტამიური (PSAJE) და რომის (PSEJA) მსახურებებისაგან განსხვავებით (შმემანი 2014: 278-281).

ალექსანდრიული წირვისთვის დამახასიათებელი „ევქარისტიული გეგმის“ თვალსაჩინო ნიმუშია შეწირვის პროცესში ჩართული საგანგებო (ვრცელი) კვერექსი და დიპტიქი, რომლის დროსაც აღევლინება სავედრებელი ლოცვები მდინარე ნილოსის ადიდე-

ბისა და მიწის ნაყოფიერებისათვის. დიაკვნის მიერ კვერექსის მუხლების წარმოთქმისას გუნდი სხვადასხვა მოკლე ჩასართავს გალობს, მათ შორის რამდენიმეგზის მეორდება ცნობილი მუხლი 64-ე ფსალმუნიდან: „აკურთხე გჳრგჳნი წელიწადისაჲ სიტკბოებითა შენითა, უფალო“ (ფს.64.12). უნდა აღინიშნოს, რომ წვიმიანობისათვისა და მიწის ნაყოფიერებისთვის ვედრება განსაკუთრებით ძლიერდება აპრილის თვეში, წმ. მარკოზის ხსენების დღეს, ხოლო მდინარეების ადიდებისათვის – ივნისში წმ. კირილე ალექსანდრიელის მიცვალების დღესასწაულზე (9/22 ივნისი). ამავე პერიოდში მიმდინარეობს ზეციური და მებრძოლი ეკლესიის წევრთა სახელების მოხსენიება, რაც წმ. მოციქულის ლიტურგიას ყველა დანარჩენისაგან გამოარჩევს, მაგალითად, წმ. იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და იაკობის წირვებისაგან, სადაც მოხსენიება შეწირვის ბოლოს აღესრულება.

დიპტიქის დასრულების შემდგომ გრძელდება შეწირვის პროცესი. აღნიშნულ ეტაპზე საინტერესოა წმ. მარკოზის წირვის ის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტები, როგორიცაა წმინდა ძღვნის კურთხევის დროს ვრცელი დიალოგი მღვდელსა და დიაკონს შორის. ტექსტი ეხმიანება სლავურ-ქართული მსახურების მესამე ჟამნის ლოცვას „უფალო, რომელმან ყოვლადწმიდა სული შენი“, რომლის ჩანასახი ალექსანდრიის წიაღში იძებნება (ჟამნი 2012: 114; კრებული 1996: 80). განსაკუთრებით აღსანიშნავია სამღვდელო კურთხევის, დალოცვის, სიტყვები: „უფალი თქვენ ყოველთა თანა“, რომელსაც ევქარისტიული კანონის ყველაზე ადრეულ ხელნაწერებში შემდეგი სახე აქვს: „მადლი უფლისა იესუ ქრისტესი...“ (Brightman, F.E., 1896).

მარკოზ მახარებლის ლიტურგიის ტექსტზე დაკვირვებისას აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ შეწირვის პროცესში არსად ჟღერდება საგალობლის სიტყვები „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. თანამედროვე მსახურებებში ეს ფრაზა თანმდევია „წმიდა არსისა“. დასახელებული საგალობელი ერთობ უცხოა ალექსანდრიის ეკლესიისათვის. უფრო მეტიც, იგი არასოდეს ყოფილა მარკოზის წირვის შემადგენელი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე შეწირვის პროცესის ბოლო ნაწილი, რომელიც გვირგვინდება საუფლო ლოცვით „მამაო ჩვენო“. ეს უკანასკნელი წმ. იაკობ მოციქულის წირვის მსგავსად ორგზის აღევლინება, ერთხელ საიდუმლოდ მღვდლისაგან, ხოლო მეორედ – იგალობება ან ითქმის მრევლის მიერ, თუმცა ცნობილია მისი მღვდლისა და მრევლის მიერ ერთდროულად თქმის ვარიანტიც.

წირვის შემდგომი კულმინაციური ეტაპია წმინდა ზიარების მიღება, რომლის დროსაც მღვდელი მოუწოდებს თანამსახურთ და წმინდა პურს ყოფს მათი რაოდენობის შესაბამისად, შემდეგ აწვდის ღვინოს (წმინდა სისხლს). ამ დროს კი იგალობება 150-ე ფსალმუნი (ბერძნული ვერსიის მიხედვით).

სასულიერო პირთა მიერ ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღების შემდგომ გამობრძანდება ბარძიმი და იწყება ერისკაცთა ზიარება. მის დასრულებას მოსდევს სამკვეთლოზე ბარძიმ-ფეშხუმის გადასვენება, სამღვდელო კურთხევა, საგალობელი „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ...“, ჩამოლოცვა და განტევება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია (რომელიც, სახელწოდებიდან გამომდინარე, უშუალოდ პეტრე მოციქულის მოწაფის მიერაა შექმნილი) საზოგადო ღმრთისმსახურების ერთერთ ადგილობრივ ტრადიციულ სახედ მიიჩნევა. თავად მსახურების სტრუქტურა ბევრ ისეთ თვალსაჩინო ელემენტს შეიცავს, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ლოცულობდნენ პირველი ქრისტიანები. ამასთან, როგორც ლოკალურ ტრადიციულ ღმრთისმსახურებას, მას სხვა ლიტურგიებისაგან განსხვავებით დიდი ცვლილებები არ განუცდია, შემოინახა რა თავისი პირვანდელი სახე და ფორმა (Fr. J. Shaw, 1998).

მახარებლის მსახურების სქემა ესადაგება წმ. იუსტინე მარტვილის მიერ (Migne 6, 429-432) ჩამოყალიბებულ ლიტურგიის დიაგრამას, რომელშიც შედის:

1. წმინდა წერილის კითხვა;
2. Proestos;
3. ლოცვების აღვლენა;
4. პურისა და (წყლით განზავებული) ღვინის შეწირვა;
5. ვრცელი სამადლობელი (ევქარისტიული კანონი – მსხვერპლშეწირვის ლოცვა);
6. ზიარება;
7. მოწყალების შეკრება (იხ. Mastrantonis, G., www.goarch.org).

ამდენად, წმ. მარკოზის წირვა ერთადერთია, სადაც ყველაზე ხშირად ხორციელდება იერარქის მიერ ერის კურთხევა, თანმიმდევრობით იკითხება საწინასწარმეტყველო, სამოციქულო, ალილუიას მუხლები და სახარება, აღევლინება ქადაგების შემდგომი კვერექსი, სრულად იგალობება „ქერუბიმთა“ გალობის წინ – 122-ე, და კლირიკოსთა ზიარების ჟამს, 150-ე ფსალმუნები.

შეჯამებულად ვიტყვით, წმ. მარკოზის საღმრთო ლიტურგია უნიკალურია ევქარისტიული კანონის შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობით (PJSAE), რასაც ადასტურებს შეწირვის პროცესში ჩართული მოზრდილი სავედრებელი კვერექსი და დიპტიქი, რომელშიც მოხსენიება თავის დროზე დიდ პატივად ითვლებოდა. სამადლობელი კანონი გამორჩეულია სულიწმიდის გარდამოსვლისას გაძლიერებული ლოცვით ნილოსის ადიდებისა და მიწის ნაყოფიერებისთვის, რაც წმინდა ლოკალური ტრადიციის გამოვლინებაა და გასაოცარ ელფერს სძენს მთლიანად მსახურებას.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმინდა მარკოზ მახარებლის ლიტურგია, რომელიც აღსავსეა ისტორიული და ადგილობრივი ტრადიციული ჩანართებით, გამორჩეული და საინტერესოა, რის გამოც საშურია მისი სიღრმისეული კვლევა როგორც ლიტურგიკული, ასევე საღვთისმეტყველო კუთხით, რასაც შეძლებისდაგვარად სამომავლოდ შევეცდებით.

Marika Tchitanava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Liturgy of Saint Mark the Evangelist

Summary

Divine Liturgy of Saint Mark the Evangelist is one of the most ancient worship of eastern rite.

In the Orthodox Church there are three kinds of Divine Liturgy that are celebrated in every parish, for example, of St. John Chrysostom, St. Basil the Great and the Presanctified Liturgy of St. Gregory the Dialogist. Although there are also other orders of worship in church practice, those are exactly composed by apostles of Christ due to their geographic area and foundation date. One of the local traditional kind of generating is Liturgy of St. Mark, which is founded by the disciple of St. Peter the Apostle and has been celebrating till nowadays in the Patriarchate of Alexandria and all Africa, Greece and Russian Orthodox Church outside Russia, in New-York, on St. Mark's feast (April 25 or May 8), while Paschal beginning.

The Liturgy of Apostle Mark was discovered by the papyrus from fourth century. We should call the names of great hierarchs of Christian church, who mentioned about this kind of worship in their works. Among them are St. Athanasius the Great, Cyril of Alexandria, John the Almsgiver and others. But it is important to know that the latest historical manuscript of the Liturgy of St. Mark was copied by Patriarch Meletios Pegas of Alexandria in 1585 and again in 1890 by St. Nectarios of Pentapolis. This version of the liturgical text was published in the middle years of last century, at the first time in Greece (1955), and after that in Egypt (1960).

It is considered that in Alexandria the Divine Liturgy was celebrated in greek, which was very useful for Christian culture. Mixture of the Christian and Hellenistic traditions made the local service form, which was crystilazed in the Divine Liturgy of St. Mark.

This kind of Liturgy contains many specific elements, which are charactized only for it. This helps to imagine the first Christian prays.

It is important to say that Alexandrian worship did not change during the ages, but it could preserve its origin form and importance.

It should be noted that the Liturgy of Apostle Mark was translated in many languages from the first period of Christianity, for example, in Syrian, Coptic, Latin, there are also the latest translations of the last century in Ukrainian and English, but no one can find Georgian interpretation. Perhaps it has never been translated in Georgian because of its interesting elements, which are belonged especially for it.

We can say that this kind of liturgy shoud help those people, who are interested in ancient worship.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბილისი, 2009;

ბიბლია, თბილისი, „პალიტრაL“, 2013;

კაკიაშვილი 2016: კაკიაშვილი, ბ., არქიმანდრიტი, ჟამისწირვათა კრებული: ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 2016;

ლიტურგიკული კრებული #2, თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია, 1996;

საღვთისმსახური წიგნი ჟამნი, თბილისი, „ალილო“, 2012;

სადღესასწაულო თვენი, თბილისი, მთაწმიდა, წმინდა ნინოს ეკლესია, 2001;

სამღვდელოჲ კონდაკი, თბილისი, 2006;

საღმრთო სამოციქულო, თბილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1899;

ტრიოდიონი მარხვანი, რომელ არს სამსაგალობელი, თბილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1901;

ფსალმუნნი, თბილისი, „ალილო“, 2016;

შმემანი, ალ., პროტოპრესვიტერი, ლიტურგია და ღმრთისმეტყველება, თბილისი, „ფავორიტი სტილი“, 2014;

Алымов, В., Лекций по Исторической Литургике, http://www.holytrinitymission.org/index.php;

Керн, К., Архимандрит, Евхаристия, Москва, 2006;

Brightman, F.E., Liturgies Eastern and Western, Vol.1, Oxford, Clarendon Press, 1896;

Divine Liturgy of St. Mark, http://www.newadvent.org/fathers/0718.htm

Guirguis, G., The Divine Liturgy of St. Mark and the Origin of the Divine Liturgy, http://www.suscopts.org/mightyarrows/-vol2_no4/divineliturgy.pdf;

Mango, C., Architettura Bizantina, Milano, 1989;

Mastrantonis, G., The Divine Liturgy, www.goarch.org

Shaw, J., Archpriest, Liturgy of St. Mark, Russian Orthodox Church Outside Russia, 1997;

Shaw, J., Archpriest, Greco-Slavonic Liturgy of St. Peter, Russian Orthodox Church Outside Russia, 2001;

The Divine Liturgy of Saint Gregory the Theologian, Pope Shenouda III Coptic Orthodox Theologian College, Sydney, 1999;

The Liturgy of the Ethiopian Church, www.ethiopianprthodox.org;

Valentini, G., Domus Ecclesiae: L'edificio sacro cristiano: Morfologia, funzioni, espressione, Bologna, Casa Ed. Prof. Riccardo Patron, 1969;

Φουντούλη, I.M., Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου, Θεσσαλονίκη, 1970;